



საქართველოს მთავრობის  
დემოკრატიულ ცვლილებად  
შენიღბული პოლიტიკური მასკარადი



*პატა გაფრინდაშვილი, მარიამ წიწიკაშვილი, გია ჯაფარიძე (საქართველოს რეფორმების ასოციაცია)*

2018 წლის მაისში ათასობით ქართველი გამოვიდა თბილისის ქუჩებში ორ ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული არასწორი ნაბიჯების გასაპროტესტებლად. 2018 წლის 12 მაისს თბილისის პოპულარულ ღამის კლუბებში ნარკოვაჭრობის აღკვეთის მიზნით განხორციელებული საპოლიციო რეიდების საპასუხოდ, აღნიშნული კლუბების კოლექტივის წევრებმა და მხარდამჭერებმა სპონტანური აქცია გამართეს პარლამენტის შენობის წინ, სადაც პრემიერ-მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა მოითხოვეს. რეივერთა მასშტაბური საპროტესტო აქციებიდან ორი კვირის შემდეგ, მაშინ როდესაც მთავრობა თითქოს დარწმუნდა, რომ მღელვარების ჩაცხრომა მოხერხდა, თბილისში საპროტესტო გამოსვლების მეორე ტალღა დაიწყო. აღნიშნულს წინ უძღოდა სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დადასტურდა რომ 6 თვის წინ ჩადენილი ორი 16 წლის მოსწავლის მკვლელობის გამოძიების პროცესში საქართველოს პროკურატურის მხრიდან მნიშვნელოვან გადაცდომებს ჰქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის ორივე ტალღა სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული, აქციების მონაწილეები ორივე შემთხვევაში საქართველოში კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მოგვარებას ითხოვდნენ.

მმართველი პარტია, რომელიც ქუჩის აქციებისა და მისი თანმდევი პოლიტიკური კრიზისის შედეგად ჩიხურ ვითარებაში აღმოჩნდა, იძულებული გახდა დათანხმებოდა დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელიც დამოუკიდებლად გამოიძიებდა თინეიჯერთა მკვლელობას და სადაც საპარლამენტო ოპოზიციური პარტია ევროპული საქართველო უმრავლესობით იქნებოდა წარმოდგენილი. საპარლამენტო კომისია ცდილობს ნათელი მოჰფინოს ორი არასრულწლოვნის მკვლელობას და აღნიშნულ გამოძიებას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე, რადგან გამოძიების პროცესში შესაძლოა გამოიკვეთოს როგორც პირადი ინტერესები, ისე ზოგადად სამართლებრივი სფეროს ჩავარდნა.

კასკადური ხასიათის ქუჩის აქციებმა ბიძგი მისცა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გადადგომას 2018 წლის 13 ივნისს, თუმცა ხსენებულ გადაწყვეტილებას უკვე დიდი ხანია ელოდა პარტია ქართული ოცნების დამფუძნებელი, მილიარდელი ბიძინა ივანიშვილი. პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ უკანასკნელ თვეებში მას და ბიძინა ივანიშვილს (რომელმაც გადაწყვიტა კულისებიდან გამოსვლა და 2018 წლის 12 მაისს პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარის პოსტზე დაბრუნდა) განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდათ „რიგ ფუნდამენტურ საკითხებზე“. შესაბამისად, კვირიკაშვილის გადადგომამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ივანიშვილის მძლავრი არაფორმალური გავლენა და აჩვენა, რომ იგი თავისუფალია ანგარიშვალდებულებებისგან და პრემიერ-მინისტრსა და კანონზეც მაღლა დგას. საკუთარ გამოსამშვიდობებელ მიმართვაში, კვირიკაშვილმა სამართლიანად აღნიშნა საკუთარი მიღწევები, თუმცა მისი პრემიერობის დროს მიღწეული წარმატებები

გადაფარა სამართლებრივ სფეროში, კანონის უზენაესობის საკითხებში და საქართველოს დემოკრატიული აღმშენებლობის საკითხებში გამოკვეთილმა ჩავარდნებმა.

კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგ, მმართველმა პარტიამ, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძის კანდიდატურა წამოაყენა. ბახტაძე, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში ფართო ცნობადობით არ სარგებლობს, საქართველოს ფინანსთა მინისტრად 2017 წლის ნოემბერში დაინიშნა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ბახტაძის კანდიდატურის შერჩევა განაპირობა ამ უკანასკნელის „ღრმა განათლებამ და მრავალმხრივმა გამოცდილებამ“. თუმცა, ოპოზიციის მტკიცებით, ბახტაძე, რომელსაც არავითარი პოლიტიკური წარსული და გამოცდილება არ გააჩნია, ბიძინა ივანიშვილის პირადი არჩევანია. ამავე განცხადებით, ბახტაძის მუშაობა საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე წარუმატებელი იყო, რადგან მისი ხელმძღვანელობის პერიოდში კომპანიის ბრუნვა განახევრდა.

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ბახტაძე მორიგი პრემიერ-მინისტრია, რომელიც პოლიტიკური მასკარადის და არა დემოკრატიული პროცესის მეშვეობით შეირჩა. ახალარჩეული პრემიერ-მინისტრი, რომელიც პარლამენტმა თანამდებობაზე 2018 წლის 20 ივნისს დაამტკიცა, პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებს ორწლიანი სამთავრობო პროგრამით - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, რომელიც თავის მხრივ მის მიერ გაჟღერებულ „მცირე მთავრობის კონცეფციას“ ეფუძნება. თუმცა, როგორც კარგი ჩანაფიქრებიც არ უნდა ჰქონდეს ახალ პრემიერ-მინისტრს, მისი პრემიერობა სავარაუდოდ ასოცირებული იქნება დემოკრატიული ლეგიტიმაციის ნაკლებობასთან, რადგანაც ბახტაძის პრემიერ-მინისტრობის მთავარი მამომრავებელი ძალა ახლად რეინკარნირებული „უზენაესი ლიდერი“ ბიძინა ივანიშვილია, რომელიც პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარის თანამდებობას იკავებს.

შესაძლოა ითქვას, რომ პრემიერ-მინისტრების გადადგომა და მშვიდობიანი დემონსტრაციები ფუნქციური დემოკრატიის ნაწილია, თუმცა გასულ თვეებში თბილისში საპროტესტო ტალღების დაწყება და ამის შედეგად პრემიერ-მინისტრის გადადგომა მიუთითებს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის მოწინავე ქვეყანას (როგორცადაც ამას დასავლელი პარტნიორები სამართლიანად აღიარებენ) საკმაოდ ღრმა პრობლემები გააჩნია კანონის უზენაესობასა და მთავრობის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა შექმნა მხოლოდ ილუზია, რომ მთავრობა პრობლემებზე რეაგირებს, მაშინ როდესაც რეალურად იგი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რადგან ექვემდებარება ერთ პიროვნებას, რომელიც ხელმძღვანელობას ანგარიშვალდებულების მიღმა ახორციელებს.

ერთი შეხედვით, შესაძლოა ჩანდეს, რომ საქართველო იხრება „არალიბერალური დემოკრატიისკენ“, როგორც ეს ხდება მაგალითად პოლონეთში. მიუხედავად იმისა, რომ

არალიბერალური ტენდენციები სხვადასხვა ევროპულ დედაქალაქში მასშტაბური დებატების დაწყების საფუძველად გვევლინება, ასეთი ტენდენციები შესაძლოა სულაც არ აღმოჩნდეს „განუკურნებელი“ ფენომენი. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში აღნიშნულ ტენდენციებს ზღუდავენ დემოკრატიის გამართული და მძლავრი დამცველები როგორც სახელმწიფო, ისე ევროკავშირის დონეზე. თუმცა, ასეთმა არალიბერალურმა გადახრებმა საქართველოს მსგავს არაკონსოლიდირებულ და მყიფე დემოკრატიაში, შესაძლოა ეგზისტენციური საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ევროპულ გზას. საქართველოს სჭირდება ძლიერი დემოკრატიული კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი, სამართლებრივი სექტორის სისტემური რეფორმა და დემოკრატიის კონსოლიდაცია, სადაც არ შეიძლება იყვნენ არაანგარიშვალდებული და კანონზე მაღლა მდგომი ლიდერები. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში დემოკრატიისა და კანონის უზენაეობის დაცვის სადარაჯოზე დგას, ეს შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს დასავლელმა პარტნიორებმა, შიდა გამოწვევების მიუხედავად, გააძლიერონ ქართული დემოკრატიის მხარდაჭერა და გამოიყენონ საკუთარი გავლენა ქართულ პოლიტიკაში არაანგარიშვალდებულების შესამცირებლად.